MES 3 20 0001214477

21/12/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით, **2020 წლის 7 დეკემბერს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ლაღიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავითბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამის ,,გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

მაიამანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტისდირექტორის მოადგილე;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირაკლი კოხრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესიგანათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ანა გვრიტიშვილი - უმაღლესიგანათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
გაგა გვენეტაძე - უმაღლესიგანათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპსბრიტანულისასწავლოუნივერსიტეტისაქართველოში*:*
მაია გურგენიძე - რექტორი;
ეკა ლუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
დავით აფრასიძე - სამეციერო კვლევითი სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თინათინ გაბრიჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
ლაშა მარკოზაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი და პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის ხელმძღვანელი;
ლევან გურგენიძე - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თინათინ ზერაგია - საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯერი;
ალექსანდრე ნაჭყებია - სტუდენტური სერვისების განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ყუფარაძე - ბრიტანეთის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
რევაზ მიქაძე - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი.
ბუკინგემის უნივერსიტეტის წარმომადგენელი:

ფრანსის რობინსონი - ბუკინგემის უნივერსიტეტის კოლაბორაციების დირექტორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

შპსბრიტანულისასწავლოუნივერსიტეტისაქართველოში- *ექსპერტები:*
ნატალიე ალექსანდრა გურვიც - სუითს
გოჩა თუთბერიძე;
ირინე დარჩია;
მაკა გველესიანი;
ნინო ალავიძე.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 16:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

დღის წესრიგი:

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

რეკომენდაციები:

- გასაგებად ახსენით, თუ რატომ მიიჩნევს უსდ თავს ბრიტანულ უნივერსიტეტად და რას ნიშნავს მისიის განაცხადის საფუძვლები.
- უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა საჭიროებს მნიშვნელოვან გადახედვას, რათა სასურველი შედეგების მიღწევა შესაძლებელი იყოს დადგენილ ვადებში.
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის რეალისტური და გაზომვადი გეგმა.
- უნივერსიტეტმა თავის სტრატეგიულ გეგმაში უნდა ასახოს თუ რა წვლილს შეიტანს საზოგადოების განვითარებაში (სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური პროგრამები და აქტივობები ან უწყვეტი განათლების ხელშეწყობა).
- რეკომენდებულია, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ბრიტანულმა უნივერსიტეტმა ორგანიზაციულ სტრუქტურაში დაყოს აკადემიური და ადმინისტრაციული ფუნქციები.
- რეკომენდებულია, კოლეგიური ორგანოს დამოუკიდებლობის გაზრდა და რექტორის ძალაუფლების შეზღუდვა აკადემიურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.
- კოლეგიურ ორგანოებში (სენატი, ფაკულტეტის საბჭო) არჩევნების წესები და პროცედურები- კანდიდატების რეგისტრაცია, საარჩევნო კამპანია, კენჭისყრის ფარულობა და ასე შემდეგ უნდა იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი.
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს ორიგინალი დოკუმენტი ან თუკი სხვა წყაროებია გამოყენებული, კეთილსინდისიერად უნდა მიუთითოს ეს წყაროები.
- ჩართეთ გარე დაინტერესებული მხარეები (პოტენციური დამსაქმებლები, პროფესიული ორგანოები და ა.შ.) სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში;
- გაითვალისწინეთ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში;
- გააუმჯობესეთ აკადემიური საქმიანობის მართვა საკანონმდებლო მოთხოვნების დროული შესრულებისა და ბიზნეს უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, ეფექტურად მოაგვარეთ პანდემიით ან სხვა გარემოებებით გამოწვეული ფორსმაჟორი;
- ეფექტურად გამოიყენეთ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) გარე დაინტერესებულ მხარეებთან დროული და ფუნქციური კომუნიკაციისთვის და ბაზრის კვლევის ჩასატარებლად (განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში).
- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და, განსაკუთრებით, დიდი ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს საგნობრივი სამიზნე ნიშნულების განაცხადების გამოყენებით,მოახდინეთ სწავლის შედეგების ხელმეორედ ფორმულირება და მოარგეთ ისინი საგნისა და სასწავლო სფეროების სპეციფიკას.

- მოარგეთ ECTS კრედიტები სტუდენტების სავარაუდო დატვირთვას და გაითვალისწინეთ სავალდებულო სასწავლო მასალის მოცულობა, აგრეთვე დრო, რაც სტუდენტებს სჭირდებათ ესეების, კითხვარის, პრეზენტაციებისა და სხვა გეგმიური დავალებების მოსამზადებლად.
- გააუმჯობესეთ კომუნიკაციის სტრატეგია საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის, მისანიჭებელი ხარისხის, სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ და უზრუნველყავით რეალისტური მოლოდინი პოტენციურ ქართველ და უცხოელ სტუდენტებში.
- მოიყვანეთ სასწავლო პროგრამები უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობაში.
- თანმიმდევრულად და ეფექტურად განახორციელეთ სტუდენტების შეფასებისა და
- მისი გასაჩივრების სისტემები.
- უზრუნველყავით, რომ თითოეულ პედაგოგს ნათლად ესმოდეს, რას ნიშნავს „აფილირება“.
- დარწმუნდით, რომ აკადემიური პერსონალი არ არის გადატვირთული სხვა საქმიანობებით, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სამუშაო ხელშეკრულებასთან ბრიტანული უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ.
- ითანამშრომლეთ ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, სტუდენტებისა და პერსონალისთვის ეროვნული და საერთაშორისო შესაძლებლობების ფართო სპექტრის შეთავაზების მიზნით.
- ჩამოაყალიბეთ სტუდენტებისათვის მოკლე და გრძელვადიანი საერთაშორისო პროექტები.
- მარეგულირებელ დოკუმენტებში შეიტანეთ რეალური ინფორმაცია ფსიქოლოგთან დაკავშირებით.
- გაზარდეთ დამსაქმებელთა რაოდენობა, შექმენით მონაცემთა სტრუქტურირებული ბაზა და აამოქმედეთ მემორანდუმები.
- შესთავაზეთ სტუდენტებს კულტურული და სპორტული აქტივობების უფრო მდიდარი არჩევანი (მათივე ჩართულობით).
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთეთ ინფორმაცია სტიპენდიებისა და ფინანსური დახმარების შესახებ, მოახდინეთ მათი დივერსიფიკაცია უფრო მეტი სტუდენტისთვის და უზრუნველყავით მათი ფართოდ გავრცელება.
- ნათლად ჩამოაყალიბეთ აკადემიური პერსონალის კვლევითი ვალდებულებები.
- შეიმუშავეთ კვლევის პრიორიტეტების მკაფიო ხედვა და განსაზღვრეთ მისი ადგილი ბრიტანული უნივერსიტეტის საქმიანობაში.
- შეიმუშავეთ მკაფიო სტრატეგია კვლევით საქმიანობაში გარე მკვლევარებისა და სტუდენტების ჩართვისთვის.
- შეიმუშავეთ პერსონალის თითოეული წევრისთვის ინდივიდუალური გეგმა და ბიუჯეტი, რომელიც დაკავშირებული იქნება კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობასთან.
- უზრუნველყავით, რომ ყველა დაკავშირებული პირი კარგად იცნობდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მექანიზმს და თითოეული საქმიანობა შესრულდეს დროულად.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მოაწყვეთ ავტოსადგომი.
- უზრუნველყავით, რომ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი იყოს მთელი საკითხავი მასალა.
- ბიბლიოთეკის პერსონალის ენობრივი შესაძლებლობების შესაბამისად, უზრუნველყავით საბიბლიოთეკო მომსახურებების ხელმისაწვდომობა ყველა მომავალი სტუდენტისათვის, მათ შორის უცხოენოვანებისთვისაც.
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტი.
- შეიმუშავეთ დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის რეალისტური და გაზომვადი გეგმა.

საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოკლედ წარმოადგინეს შედეგები შეფასების პროცესის შესახებ, ავტორიზაციის ვიზიტი შედგა სექტემბერში, ექსპერტთა ჯგუფს მიღებული ჰქონდა თვითშეფასების ანგარიში და დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის აქტივობების და განვითარების გეგმები. ვიზიტის დროს მათ ჰქონდათ საშუალება განეხორციელებინათ ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ვინაიდან უნივერსიტეტს არ ჰქონდა დაწყებული სასწავლო პროცესი, ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეხვდა სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. მისი თქმით, დასკვნაში მოცემული იყო სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა, რაც შეეხებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიგნებებს, მისი თქმით, აღსანიშნავი იყო, რომ მისია და სტრატეგიული განვითარება მეტწილად შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან, ასევე დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა მეტწილად შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან. რაც შეეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამებს, ნაწილობრივ შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა; მატერიალური საინფორმაციო და ფინანსური რესურსები მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის უდიდესი შეშფოთება ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამებს. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და განვითარებას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს. როგორც მან აღნიშნა, ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა რეკომენდაციების შეჯამება, რომლებიც დაეხმარებოდა უნივერსიტეტს, უზრუნველყონ სტანდარტებთან სრული შესაბამისობა. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით საგანმანათლებლო პროგრამები მეტწილად საჭიროებენ სამომავლო განვითარებას.

საბჭოს წევრმა დავით აფრასიძემ კითხვით მიმართა ექსპერტს და განაცხადა, რომ მისი სიტყვიდან გამოიკვეთა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეშფოთება შეეხო მესამე სტანდარტს, საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე დასკვნის მიხედვით ვიზიტის დასრულებამდე მან დაწესებულებას გააცნო სამი საკითხი სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და სამი საკითხი გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნულ შეხვედრაზე არ გაჟღერებულა კრიტიკული საკითხები. ასევე, შეხვედრაზე სადაც განხორციელდა ძირითადი მიგნებების გაცნობა, არ იყო ნახსენები ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია მესამე სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ მესამე სტანდარტი წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტანდარტს და იმ შემთხვევაში თუ შეფასება დარჩებოდა იმ სახით როგორც იყო წარმოდგენილი დასკვნაში, ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტილება რაც შეიძლება მიეღო ავტორიზაციის საბჭომ და რისი უფლებაც მას ჰქონდა, იყო ავტორიზაციის მინიჭება გარკვეული შეზღუდვებით, რომლის მიხედვით უნივერსიტეტს არ ექნებოდა უფლება ჩაერიცხა სტუდენტები. ის დაინტერესდა, მას შემდეგ რაც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო და შეისწავლა დოკუმენტაცია, ეწვია და დაათვალიერა მატერიალური რესურსები, შეხვდა ადმინისტრაციულ პერსონალს და პროფესორებს, მიზანშეწონილი იქნებოდ თუ არა მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება ავტორიზაციის მინიჭების შესახებ, სტუდენტების მიღების შეზღუდვის დაწესებით.

საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე მოხდა მიგნებების შეჯამება და გაჟღერდა სამი საკითხი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. ასევე შეხვედრაზე მის მიერ ეცნობა დაწესებულების წარმომადგენლებს რომ უფრო მეტი დეტალები შეფასების შესახებ წარმოდგენილი იქნებოდა დასკვნაში, შესაბამისად ამის თაობაზე ადგილი არ უნდა ჰქონოდა გაუგებრობას. მან სამ გასაუმჯობესებელ მხარეში აღინიშნა, რომ მისია და მიზნები უნდა ყოფილიყო უფრო მეტად თანმიმდევრულად წარმოდგენილი, არ იყო ნათელი უნივერსიტეტის როლი და ბრიტანული ასპექტი, რომელიც ასახული იყო შინაარსში და მისი მოსაზრებით ეს ქმნიდა სერიოზულ პრობლემას საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსისთვისაც. ასევე შეხვედრაზე აღინიშნა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ნაკლებობა უნივერსიტეტის

აქტივობებში. მან კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ სრული ინფორმაცია და განმარტება მოცემული იქნებოდა დასკვნაში. დასკვნა მოიცავდა თითოეული ექსპერტის გაერთიანებულ მოსაზრებებს ყოველგვარი მიკერძოების გარეშე. მან განაცხადა, რომ ის გახლავთ სრულიად დამოუკიდებელი და მასზე არ ჰქონია გავლენა სხვის წარმოდგენებს და მოსაზრებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე მათი დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის წევრების სამართლიან ხედვას. ამავე დროს მას სურდა რომ ავტორიზაციის საბჭოს მიეღო სამართლიანი გადაწყვეტილება, რომელიც დაეფუძნებოდა მათ მიერ ფორმირებულ დასკვნას და მასში ასახულ ძირითად საკითხებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ექსპერტს თანამშრომლობისათვის და მიმართა ქართველ ექსპერტებს თითოეული სტანდარტის მიხედვით წარმოედგინათ ექსპერტთა ჯგუფოს პოზიცია.

ექსპერტ გოჩა თუთბერიძემ, ისაუბრა პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, მისი თქმით ინტერვიუების, გასაუბრებებისა და დოკუმენტაციის გაცნობის ეტაპზე, ექსპერტთა ჯგუფს ნათელი წარმოდგენა ვერ შეექმნა იმის შესახებ, რომ საქმე ეხებოდა საქართველოში არსებულ ბრიტანულ უნივერსიტეტს.
საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ საფირმო სახელწოდებასთან დაკავშრებით კანონი ითვალისწინებდა ორ წინაპირობას, ერთი იყო ფორმალური წინაპირობა, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა დაცული იმდენად, რამდენადაც დარეგისტრირებული იყო და მეორე წინაპირობა იყო შინაარსობრივი, რომელიც გულისხმობდა რომ სახელწოდება უნდა ყოფილიყო დაწესებულების აღმწერი. მან კითხვით მიმართა ექსპერტ გოჩა თუთბერიძეს, ის დაინტერესდა რამ გაუჩინა ექსპერტებს ეჭვი რომ სახელწოდება იყო შეცდომაში შემყვანი. ასევე საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლაძემ კითხვით მიმართა გოჩა თუთბერიძეს, აფილირების ხელშეკრულება ხომ არ იყო საიმედო წინაპირობა.
ექსპერტი, გოჩა თუთბერიძის მოსაზრებით, ხელშეკრულება აფილირების შესახებ არ იყო საკმარისი საფუძველი და წინაპირობა იმისა, რომ ეს პროცესი შეეფასებინათ, როგორც ბრიტანული განათლების მიცემის საშუალება საქართველოში. საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია ჩაეკითხა ექსპერტს, ფიქრობდა თუ არა ის რომ შემდეგში ბრიტანული მხარე უარს იტყოდა თავისი ვალდებულების შესრულებაზე. გოჩა თუთბერიძემ უპასუხა, რომ ეს იყო ორივე მხარის კეთილი ნება და ნებისმიერ დროს შეეძლოთ მხარეებს მოეშალათ ხელშეკრულება. მან თავიდანვე კონკრეტული სახელწოდება დამაბნევლად შეაფასა და დაამატა, რომ სახელი ''ბრიტანულ-ქართული უნივერსიტეტი'' იქნებოდა ბევრად უფრო მიზანშეწონილი. მან ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა აღნიშნული საკითხი უკეთესად ყოფილიყო განმარტებული და დასაბუთებული. საუბრის დასასრულს ექპერტმა ზემოთ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა დაწესებულების იურიდიულ ნებად განსაზღვრა.
სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით ექსპერტმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა საჭიროებდა მნიშვნელოვან გადახედვას, რათა სასურველი შედეგების მიღწევა შესაძლებელი ყოფილიყო დადგენილ ვადებში. ის ასაბუთებდა, რომ დაწესებულებას უნდა შეემუშავებინა დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის რეალური და გაზომვადი გეგმა. ასევე უნივერსიტეტს თავის სტრატეგიულ გეგმაში უნდა აესახა თუ რა წვლილს შეიტანდა ის საზოგადოების განვითარებაში.
ექსპერტმა გოჩა თუთბერიძემ ყურადღება გაამახვილა შემდეგ რეკომენდაციებზე:
რეკომენდირებულია აკადემიური სამეცნიერო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ბრიტანულმა უნივერსიტეტმა ორგანიზაციულ სტრუქტურაში დაყოს აკადემიური და ადმინისტრაციული ფუნქციები. მისი თქმით არსებობდა კოლეგიალური ორგანო სენატი, თუმცა სენატის 5 წევრი ინიშნებოდა რექტორის მიერ.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა კოლეგიური ორგანოს დამოუკიდებლობის გაზრდასა და რექტორის ძალაუფლების შეზღუდვას აკადემიურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში. მისი თქმით, სენატი, რომელიც იყო კოლეგიური ორგანო, კარგად იყო გამიჯნული. მან აღნიშნა ისიც, რომ უნივერსიტეტის მართვისთვის ეს ფაქტი ბევრად უკეთესი და ნაყოფიერი იქნებოდა.

მისი თქმით, კოლეგიურ ორგანოებში არჩევნების წესები და პროცედურები: კანდიდატების რეგსიტრაცია, საარჩევნო კამპანია და კენჭისყრის ფარულობა უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე და სამართლიანი, მისი თქმით, დაწესებულებას უნდა შეემუშავებინა დოკუმენტი და კეთილსინდისიერად უნდა მოეხდინა ამ ტიპის წყაროების მითითება. მისი განმარტებით, ეს იყო პირველ და მეორე სტანდარტთან მიმართებით ძირითადი რეკომენდაციები. მან საუბრის ბოლოს დაადასტურა, რომ ორივე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

მესამე სტანდართან დაკავშირებით საუბარი გააგრძელა ექსპერტმა ირინე დარჩიამ, მისი თქმით, საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა მესამე სტანდარტი, რომელზეც იყო დამოკიდებული სტუდენტების მიღება, არმიღების საკითხი. როგორც მან აღნიშნა, აღნიშნული სტანდარტის შეფასება უკავშირდებოდა დაწესებულების სახელწოდებას. მისი მოსაზრებით, არ იქნებოდა პრობლემა ინსტიტუცია, მხოლოდ სახელწოდებიდან გამომდინარე რომ პოზიციონირებდეს, როგორც ბრიტანული უნივერსიტეტი ამ შემთხვევაში პრობლემა არავის ექნებოდა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მათ ჰქონდათ განსხვავებული ვითარება, მისი თქმით მთელი თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულება პოზიციონირებდა, როგორც ბრიტანული სწავლების მეთოდი, როგორც ბრიტანული სტანდარტების შემომტანი საქართველოში და როდესაც დაწესებულებას ჰქონდა ეს განაცხადი აღნიშნული ბრიტანულ სახელწოდებას უთუოდ სცდებოდა. მისი თქმით, პროგრამების შეფასება განხორციელდა, როგორც კრიტერიუმების გათვალისწინებით ასევე უფრო ფართო კონტექსტშიც.

ექსპერტი, ირინე დარჩიას განმარტებით აუცილებელი იყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის დაგეგმვა, შემუშავებასა და განვითარებაში. ექსპერტების მოთხოვნა იყო რომ პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში ჩართული ყოფილიყვნენ ის დაინტერესებული მხარეები, რომელთა შესახებაც თვითონ ინსტიტუციას ჰქოდა განაცხადი გაკეთებული.

ექსპერტის თქმით, შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებას სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში, რაც მან შეაფასა, როგორც სტანდარტის მოთხოვნა. მისი თქმით, როდესაც სააქმე ეხებოდა ინსტიტუციას, რომელიც განაცხადებდა რომ ის ბრიტანული მიდგომებით შემოდიოდა საქართველოში, ეს ასპექტი ორმაგად დიდ მნიშვნელობას იძენდა.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური მენეჯმენტის გაუმჯობესებას და საკანონმდებლო მოთხოვნების დროულ შესრულებას, რაც მისი თქმით აუცილებელი იყო მესამე სტანდარტის იმპლემენტაციისთვის, როგორც მან აღნიშნა, რაც არ უნდა კარგად ყოფილიყო ქაღალდზე დაწერილი სწავლის შედეგები და მეთოდოლოგიები, თუ ეს არ იქნებოდა შესაბამისი აკადემიური მენეჯმენტით უზრუნველყოფილი სწავლის შედეგებზე ვერ გავიდოდა.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას დაინტერესებულ მხარეებთან დროულ კომუნიკაციის დროს.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა 3.3 სტანდარტს, რომლის მიხედვითაც თანმიმდევრულად და ეფექტიანად უნდა განხორციელებულიყო სტუდენტების შეფასება და მათი გასაჩივრების სისტემები. როგორც მან აღნიშნა, ის რაც იყო რეგულაციების დონეზე, აუცილებელი იყო მათი თანმიმდევრული შესრულება.

3.2 სტანდარტთან მიმართებით გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

1. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და განსაკუთრებით, დიდი ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს საგნობრივი სამიზნე ნიშნულების განაცხადების გამოყენებით

მოეხდინათ სწავლის შედეგების ხელმეორედ ფორმულირება და მათი მორგება სასწავლო სფეროების სპეციფიკასთან
2. კრედიტები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო სტუდენტების სავარაუდო დატვირთვასთან და გათვალისწინებული ჰქონოდათ სასწავლო მასალის მოცულობა.
3. კომუნიკაციის სტრაგეგიის გაუმჯობესება, პროგრამების შინაარსის, მისანიჭებელი ხარისხის სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ და რეალისტური მოლოდინების უზრუნველყოფა, როგორც ქართველ ისე უცხოელ სტუდენტებში.
საერთაშორისო ექსპერტმა, მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. როგორც ვიზიტის დროსაც აღინიშნა, დაწესებულებას ჰყავდა ნამდვილად თავდადებული და სასიამოვნი პერსონალი, რომელიც თავდადებით ემსახურება თავის საქმეს. თუმცა მათი შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ მათ ჰქონდათ განსხვავებული შეხედულებები აფილირების პრინციპზე უნივერსიტეტის კონტექსტში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტს უზრუნველეყო სასწავლო პერსონალს ჰქონოდა ნათელი წარმოდგენა აფილირების შესახებ და სცოდნოდა თუ რა უნდა გაკეთებულიყო მათი მხრიდან უნივერსიტეტთან მიმართებით მოცემულ პერიოდში. ასევე აკადემიური პერსონალის რამოდენიმე წევრი დასაქმებული იყო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და დაკავებულნი იყვნენ სხვა პროექტებით. ამისათვის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია იმის თაობაზე რომ დაწესებულებას უზრუნველეყო რომ აღნიშნული წევრები არ ყოფილიყვნენ გადატვირთულები სხვა აქტივობებით და დასაქმებულები ყოფილიყვნენ მათ უნივერსიტეტში და ამაზე გაემახვილებინათ მეტი ყურადღება. სწორად აღნიშნულიდან გამომდინარე შეფასდა მეოთხე სტანდარტი მეტწილი შესაბამისობით.
მეხუთე სტანდარტთან მიმართებით საუბარი დაიწყო ექსპერტმა ნინო ალავიძემ მისი თქმით, სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო დაენახა თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკაში ყველა წინასწარ განსაზღვრული რეგულაცია. შეფასება მოხდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე. მისი თქმით, უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ნათლად განსაზღვრავდა სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეწყვეტის, სწავლის შეფასების ასევე მობილობის კვალიფიკაციის და განათლების აღიარების პროცედურებს, სტუდენტების უფლებებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. მან ასევე აღნიშნა რომ უნივერსიტეტში იყო იურისტის პოზიცია, რომლის უშუალო მოვალეობა იყო სტუდენტების კანონიერი უფლებების დაცვა. ხოლო რაც შეეხებოდა ფსიქოლოგს, რომლის შესახებაც ინსტიტუციას წარმოდგენილი ჰქონდა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში, არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან უნივერსიტეტში არ იყო ასეთი საშტატო ერთეული, არ ჰყავდა უნივერსიტეტს არც სტრუქტურული ერთეული, არც პირი, რომელიც შეძლებდა აღნიშნული კონსულტაციების გაწევას, თუმცა მიესალმებოდა რომ ინსტიტუცია ხედავდა ამ კადრის საჭიროებას.
რაც შეეხებოდა სტუდენტურ სერვისებს და მომსახურეობას, მისი განმარტებით სტუდენტური სერვისები იყო საკმაოდ მრავლაფეროვანი. ინსტიტუციას წარმოდგენილი ჰქონდა ცალკეული დოკუმენტი, სადაც ასახული იყო ყველა საჭირო ღონისძიებები და მხარდაჭერის შესაძლებლობები. აღნიშნული დოკუმენტში ექსპერტები ისურვებდნენ კონკრეტული საკითხების დეტალიზებას. მაგალითად ტუტურის არსებობა უნივერსიტეტში, როგორც მან აღნიშნა, ტუტორის ფუნქცია მოვალეობის შესრულების შესახებ ყველა ლექტორი არ იყო ინფორმირებული, ხოლო აღნიშნული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით, რომელიც იყო სტუდენტური სერვისების მიწოდების წესი, ნათლად იყო ფორმულირებული რომ ყველა ლექტორს ექნებოდა ვალდებულება რომ ყოფილიყო სტუდენტის ტუტორი და მისი აკადემიური მოსწრების შესახებ თუ საუნივერსიტეტო ცხოვრების და პროგრესიის შესახებ

სტუდენტისათვის აუცილებლად უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფმა ისურვა, რომ ვიდრე სასწავლო პროცესი დაიწყებოდა უზრუნველყოთ შესაბამისი ლექტორებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათივე ფუნქცია მოვალეობის შესახებ.
რაც შეეხებოდა კურსდამთავრბეულთა და დამასაქმებელთა მდგომარეობას, როგორც მან აღნიშნა, გამოვლინდა რომ ინსტიტუციას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 4 დაწესებულებასთან, სადაც კურსდამთავრებულები შეძლებდნენ, როგორც პრაქტიკის განხორციელებას ისე მათ ექნებოდათ შესაძლებლობა რომ დასაქმებულიყვნენ. ისინი ისურვებდნენ დაწესებულებას გაეფორმებინა მეტი თანამშრომლობის მემორანდუმები და უზრუნველყოთ სისიტემატიზირებული მიდგომები, როგორც დამსაქმებლებთან ასევე სტუდენტებთან.
ექსპერტ ნინო ალავიძის მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა დაწესებულებას ჰქონოდა კონკრეტული პლატფორმა, რომლის საშუალებითაც უფრო აქიტური კავშირი ექნებოდათ დამსაქმებლებთან.
საერთაშრისო მობილობასთან დაკავშირებით, იყო რეკომენდაცია რომ ინსტიტუციას გაეფორმებინა მეტი ურთიერთნამაშრომლობის მემორანდუმები, რაც ხელს შეუწყობდა აკადემიური პერსონალის ჩართულობასაც.
რაც შეეხებოდა სტიპენდიებს და ფინანსურ მხარდაჭერას სტუდენტებისადმი, აქ იყო რეკომენდაცია, რითაც დაწესებულებას მეტად უნდა გაემიჯნა და დივერსიფიკაცია მოეხდინა სასტიპენდიო წახალისებისა თუ შეთავაზებისა. ექპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მე-2, მე-3, მე-4 კურსის სტუდენტებსაც უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა რომ უფრო მეტად ყოფილიყვნენ მხარდაჭერილნი დაწესებულების მხრიდან.
საერთაშორისო ექსპერტმა განაცხადა, რომ მან იმუშავა მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებით, ვიზიტის დროს მათ დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და მათ არ ეპარებოდათ ეჭვი რომ უნივერსიტეტს შეეძლო შეექმნა და დაენერგა კვლევითი ცენტრები, ლაბორატორიები და სხვა რესურსები, მათ ჰყავდათ შესაბამისი პერსონალი, თუმცა პრობლემა მდგომარეობდა იმაში რომ უნივერსიტეტს არ ჰქონდა ნათლად ჩამოყალიბებული ხედვა კვლევითი კომპონენტის მნიშვნელობაზე და არ იყო ნათელი თუ რა იქნებოდა ძირითადი კვლევითი პრიორიტეტები. უნივერსიტეტმა ახსენა სხვადასხვა ტიპის კვლევა, თუმცა არ გამოიკვეთა თუ რაზე გაკეთდებოდა ფოკუსირება. შესაბამისად, ამისათვის ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტს შეემუშავებინა ნათელი წარმოდგენა კვლევითი ვალდებულებებისა აკადემიური პერსონალისათვის და ჩამოეყალიბებინა ხედვა კვლევითი პრიორიტეტებისა და განესაზღვრა კვლევის ადგილი უნივერსიტეტის აქტივობებში. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა რომ მიმდინარე პერიოდისათვის არ იყო წარმოდგენილი განცალკევებული ბიუჯეტი თითოეული აკადემიური პერსონალის წევრებისათვის, იმისათვის რომ მათ მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა კონფერენციებში, ტრენინგებში და სხვა კვლევით აქტივობებში, რაც აუცილებელი და რეკომენდირებული იყო. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა სურვილი რომ, ყველა აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი კარგად ინფორმირებული ყოფილიყო სამეცნიერო - კვლევითი აქტივობების მექანიზმების შესახებ. კერძოდ, რა გაკეთდებოდა, რა იგეგემებოდა, რა იყო ძირითადი იდეა, რაზე კეთდებოდა ფოკუსი და იქმნებოდა ფოკუს-ჯგუფები. შესაბამისად, საბოლოო ჯამში აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მეექვსე სტანდარტი შეფასდა მეტწილად შესაბამისობით სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირები ისაუბრა ექსპერტმა მაკა გველესიანმა მისი თქმით, აღნიშნული სტანდარტი იყო განსაკუთრებულად ძლიერი მხარე დაწესებულებისასთვის, თუმცა მათ გასცეს რამდენიმე რეკოემნდაცია, ერთ ერთი რეკომენდაცია ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარკინგე ადგილის მოწყობას, რაზედაც

დაწესებულებამ უპასუხა რომ მერიაში უკვე წარდგენილი ჰქონდათ განაცხადი. მისი თქმით, დასკვნა ეფუძნებოდა ვიზიტის დროს არსებულ სიტუაციას, შესაბამისად აქცენტები გააკეთებული იყო ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე.
მეორე რეკომენდაცია ეხებოდა საბიბლიოთეკო რესურს, როგორც მან აღნიშნა, ვიზიტის დროს სავალდებულო წიგნების ნაწილი არ იყო წარმოდგენილი, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება, რითაც დასტურდებოდა რომ მათ შეძენილი ჰქონდათ კონკრეტული წიგნები.
საბიბლიოთეკო ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო 60 საათის განმავლობაში. თუმცა ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის დასაქმებული კადრები სრულად ვერ უზრუნველყოფენ ინგლისურენოვანი სტუდენტების მომსახურებას.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელი ვერ დაეთანხმა ექსპერტ გოჩა თუთბერიძის მოსაზრებას თითქოს ბუკინგემის უნივერსიტეტთან შეთანხმების მოთხოვნების შესრულება დამოკიდებული იყო მხარეთა კეთილ ნებაზე და შესაბამისად შეთანხმების შეწყვეტის შემთხვევაში აღარ იარსებებდა ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში, არამედ იქნებოდა ჩვეულებრივი უნივერსიტეტი. მისი თქმით, აღნიშნული მემორანდუმი იყო იურიდიული ძალის მქონე შეთანხმება. როგორც მან აღნიშნა, ვალიდაციის პროცესი მოიცავდა ვიზიტამდე, შეთანხმებამდე განსახორციელებელ ეტაპებს. მისი თქმით კითხვა თუ რა მოხდებოდა მომავალში არაარსებითი იყო. ფაქტობრივი და გაზომვადი მდგომარეობით ეს შეთანხმება იყო რეალური და ის უნდა შესრულებულიყო.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო ქართული უნივერსიტეტი რადგან ისინი იმყოფებოდნენ ქართულ ავტორიზაციის პროცესში. მან განმარტა რომ ეს პროცესი მოქმედებდა მხოლოდ ქართული კანონმდებლობით. მისი თქმით ბუკინგემის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა იყო მათი ძლიერი მხარე, თუმცა ეს არ ანაცვლებდა ქართულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.
3.1 და 3.2 სტანდარტებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი სულ მცირე იმსახურებდნენ მეტწილად შესაბამისობას. მისი თქმით, ბევრი რეკომენდაცია ეხებოდა იმას, თუ როგორ მოხდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების და შიდა რეგლამენტების შესრულება. მისი თქმით, იმისათვის რომ მათ ჰქონოდათ ამ ყველაფრის განხორციელების საშუალება, სულ მცირე უნდა ჰქონდათ პროგრამების ამოქმედების საშუალება. ასევე, მან ყურადღება გაამახვილა მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობაზე.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, 3.1 3.2 სტანდარტის კომპონენტებთან მიმართებით გაკეთებული შეფასებები გადადიოდა აკრედიტაციის სფეროში. მაგალითად კრედიტების დათვლა და ბრიტანულ დაწესებულებასთან შესაბამისობის საკითხები.
დაწესებულების წარმომადგენლმა ყურადღება გაამახვილა ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე და მოახდინა ციტირება დასკვნიდან ‘’მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანულმა უნივერსიტეტმა ბუკინგემის უნივერსიტეტთან გააფორმა აკადემიური აფილირების ხელშეკრულება, მიუხედავად საერთაშორისო პერსონალისა საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრებისა, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებისა და დირექტორის განცხადებისა რომ დაწესებულებამ მოახდინა ბუკინგემის უნივერსიტეტის სასწავლო გეგმების ადაპტირება ქართული ბაზრის საჭიროებებთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან ექსპერტთა ჯგუფის აზრით საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა არ გაუთვალისწინებიათ’’ დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა თუ კი ამდენი უცხოელი იყო ჩართული, როგორ არ დასტურდებოდა საერთაშორისო ჩართულობა? მან ასევე ყურადღება გაამახვილა ბიზნეს უწყვეტობის საკითხსა და საკანონდმებლო მოთხოვნებზე. მისი თქმით აქ საუბარი იყო პროგრამების ინგლისურ ენაზე განხორციელების თაობაზე სამინისტროდან ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, მისი თქმით ჩანაწერში მითითებული იყო რომ დაწესებულებამ

სამინისტროს თანხმობა მიიღო შედარებით გვიან, ის დაინტერესდა, არსებობდა თუ არა რაიმე საკნონმდებლო ჩანაწერი, რომელიც განსაზღვრავდა იმას, თუ როდის უნდა ყოფილიყო თანხმობა მოწოდებული, როგორც მან აღნიშნა, აქ მთავარი იყო ის რომ ვიზიტის დროს აღნიშნული დოკუმენტი არსებობდა და ეს აუცილებლად უნდა ჩათვლილიყო ვალიდურ დოკუმენტად.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ყურადღება გაამახვილა მეორე სტანდარტზე. მისი თქმით, მათ იმდენად კრიტიკული თვითშეფასება წარმოადგინეს, რომ აქ უკვე აშკარად ჩანდა რომ ისინი ღია იქნებოდნენ რეკომენდაციების მისაღებად. როგორც მან აღნიშნა, თუ რეკომენდაცია ემსახურებოდა უნივერსიტეტის განვითარებას ისინი მზაობას აცხადებდნენ გაეთვალისწინებინათ და მიეღოთ ისინი, მაგრამ იმგვარ რეკომენდაციებს, რომელშიც საუნივერსიტეტო მზაობა არ არსებობდა რომ ის განავითარებდა დაწესებულებას, ისინი მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას აღნიშნული რეკმენდაციები გაითვალისწინებინათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციის პერიფრაზირება მოახდინა ''აკადემიური სამეცნიერო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ეფექტურობის გაზრდის მიზნით ბრიტანულმა უნივერსიტეტმა ორგანიზაციულ სტრუქტურაში დაყოს აკადემიური და ადმინისტრაციული ფუნქციები''. შემდეგ კი ამასთან მიმართებით დასვა შეკითხვა, სადმე იყო თუ არა შემთხვევა, როდესაც ფაკულტეტს შეთავსებული ჰქონდა საქმის წარმოება. ეს მან შეაფასა, როგორც არასერიოზული ქმედება. მისი განცხადებით, მათ ჰქონდათ ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, სადაც მკვეთრად იყო გამიჯნული ადმინისტრაციული და აკადემიური ფუნქციები. როგორც მან აღნიშნა, იმისათვის, რომ რექტორს არ ჰქონოდა ვალდებულება ყველა დეტალზე ვალდებულების შესრულების, შემოიტანეს რექტორის მოადგილის პოზიცია, რომელსაც დაქვემდებარებული ჰყავდა ის ერთეულები, რომელიც ადმინისტრაციულ საკითხებზეა ორიენტირებული. მისი თქმით, რექტორი იყო აკადემიური მმართველი და მოთხოვნა, შეიზღუდოს მისი უფლებამოსილეობები მათი აზრით, არასერიოზული განაცხადი იყო.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა კოლეგიურ ორგანოს დამოუკიდებლობის გაზრდასა და რექტორის ძალაუფლების შეზღუდვას აკადემიური გადაწყვეტილებაში ჩარევის მიზნით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტი წარმოდგენილი იყო სამი კოლეგიური ორგანოთი, მრჩეველთა საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც მისი თქმით იყო უმაღლესი მართველი რგოლი და საფაკულტეტო საბჭო. მისი თქმით, როდესაც საუბარი იყო რომ შეეზღუდათ კოლეგიური ორგანოების დაკომპლექტებაში რექტორის უფლებამოსილება, მან არგუმენტად უპასუხა, რომ ფაკულტეტის საბჭოს დაკომპლექტებაში საერთოდ არ იყო რექტორი ჩართული. რაც შეეხებოდა უმაღლეს წარმომადგენლობით საბჭოს, რექტორს, როგორც ერთ რიგით წევრს, გადაწყვეტილების მიღების დროს არ ჰქონდა პრივილეგირებული მდგომარეობა. არჩევის წესთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ იმისათვის რომ მოხდეს შეფასება, თუ როგორ მოხდა კონკრეტულ პოზიციაზე პერსონის არჩევა ამისთვის საჭირო იყო სამი ელემენტის არსებობა. პირველად დაასახელა ის, თუ რა კრიტერიუმებით განსაზღვრა უნივერსიტეტმა, არჩევის პროცედურა, შემდეგ როგორ ჩაატარა და მესამე, ვისი არჩევაც მოხდა გაზომილიყო მათი კმაყოფილება, იმასთან დაკავშირებით თუ მათთან მიმართებით, რამდენად სამართლიანი იყო მთლიანად არჩევის პროცესი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიმდინარეობისას განმარტა, რომ ამ სამიდან ექპერტების მხოლოდ ერთი კომპონენტის შეფასების საშუალება ჰქონდათ. ექნებოდა თუ არა სამართლიანობის განცდა ადამიანს, მისი თქმით, ამის შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ დადგება როდესაც ამ ყველაფერს სრულყოფაში მოიყვანდნენ

ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახურმა ვერ გაიგო რეკომენდაციების შინაარსი, მისი თქმით, საუბარი იყო კოლეგიური ორგანოების ფორმირებაზე და

გადაწყვეტილებების მიღებაზე ადმინისტრაციულ და აკადემიურ საკითხებთან მიმართებაში. მისი თქმით არსებობდა უნივერსიტეტის წესდება და დებულება, სადაც აშკარად ჩანდა რომ ეს მხარე მოითხოვდა გაუმჯობესებას.
ექსპერტმა, ირინე დარჩიამ აღნიშნა რომ შეფასება ხდებოდა იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა, ასევე იმის გათვალისწინებით, თუ რა ხდებოდა ინტერვიუირების დროს. როდესაც საქმე ეხებოდა უნივერსიტეტს, რომელიც არ იყო ავტორიზებული, შედეგების შეფასება ვერ ხდებოდა, ამიტომ ამ ასპექტებში სრული შესაბამისობა ვერ იქნებოდა მიღწეული არსებული სტანდარტებიდან გამომდინარე, მაგრამ რეკომენდაციები გათვლილი იყო სამომავლო პერსპექტივაზე.
აფილირების დოკუმენტთან დაკავშირებით, ექსპერტმა ირინე დარჩიამ აღნიშნა, რომ ყველა უნდა ყოფილიყვნენ რეალისტურები. მან დადებითად შეაფასა, რომ ეს დოკუმენტი არსებობდა, თუმცა ბრიტანული უნივერსიტეტი არ იყო ერთადერთი და უნიკალური, მისი განმარტებით სხვა ინსტიტუციებსაც ჰქონდათ ანალოგიური დოკუმენტი. მისი თქმით, ეს იყო ძალიან კარგი საწყისი პუნქტი, რომ შემდგარიყო რეალური თანამშრომლობა და ბრიტანელები ყოფილიყვნენ ჩართულები სამომავლოდ. ამ დოკუმენტში დეტალურად იყო გაწერილი ვალიდაციის პროცესი, ვალიდაციის შედეგი დადგებოდა თუ არა ამის განაზღვრა მისი მოსაზრებით შეუძლებელი იყო. ისინი აფილირებულ დოკუმენტს აფასებდნენ როგორც კარგ საწყის პუნქტს, მაგრამ იმაზე მეტის დაკისრებას არ ემხრობოდა. მისი თქმით, ვალიდაციის პროცესი არ იყო ისეთი მარტივი როგორიც ქაღალდზე შეიძლებოდა გამოჩენილიყო.
ექსპერტმა ირინე დარჩიამ, დაწესებულების პოზიციასთან დაკავშირებით, თითქოს იჭრებოდნენ აკრედიტაციის პროცესებში, აღნიშნა, რომ ისინი არ იჭრებოდნენ აკრედიტაციის პროცესში, რადგან თვითონ კრიტერიუმებში იყო მითითებული, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება და სტუდენტების დატვირთვა.
მისი თქმით როდესაც საუბარი იყო ბრიტანული მხარის ჩართულობაზე, ერთი იყო რა ეწერა ამ დოკუმენტებში და მეორე, რისი ნახვა განხორციელდა რეალურად. მისი განმარტებით, მათ ნახეს ბუკინგემის უნივერსიტეტის ერთი წარმოამდგენელის და ასევე ორი პროფესორის ჩართულობა. როდესაც დაწესებულება ამბობდა, რომ ბუკინგემის უნივერსიტეტმა მათ გადასცა თავიანთი პროგრამები და მათ მოახდინეს მისი ადაპტირება, მისი თქმით რეალურად ეს ადაპტირება ვერ ვლინდებოდა და თუ შედარებას განხორციელდებიდა ბუკინგემის უნივერსიტეტის პროგრამებთან, თანხვედრებიც კი არ იყო სახეზე.
სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, საწყის ეტაპზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ერთობლიობაში იყო თუ არა საკმარისი იმისათვის რომ სტუდენტი არ შესულიყო შეცდომაში.
ექსპერტმა, ირინე დარჩიამ უპასუხა საბჭოს თავდმჯდომარეს და განაცხადა, რომ თავიდანვე დაწესებულებას რომ განეცხადებინა, რომ ეს იყო ქართული უნივერსიტეტი, ეს შედეგი არ დადგებოდა. მან დაამატა, რომ ექსპერტები აფასებდნენ იმას, რასაც კონკრეტულად დაწესებულება აცხადებდა. მისი თქმით, დაგეგმილი შედეგების იმპლემენტაციისთვის დაწესებულებას სჭირდებოდა აკადემიური მენეჯმენტის გაუმჯობესება.
ექსპერტმა, ირინე დარჩიამ დადებითად შეაფასა უნივერსიტეტის მხრიდან ინტერნაციონალიზაციისა და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის სურვილი, მაგრამ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით დაწესებულების აფილირება და ვალიდაცია ბრიტანეთის რომელიმე უნივერსიტეტისგან ვერ იქნება ხარისხის გარანტი, რადგან თავად ეს ბრიტანული ინსტიტუციაც შეიძლება არ ყოფილიყო დაცული იმისგან რომ ხარისხთან დაკავშირებული პრობლემა არ ექნებოდა. მაგალითისთვის მოიყვანა შემთხვევა, როცა 2014 წელს თავად ბუკინგემის უნივერსიტეტს ქონდა პრობლემა, რაც გამოჩნდა QAA-ის მიერ ამ უნივერსიტეტის განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასებაში.
ბუკინგემის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა რობინსონმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს წევრები იცნობდნენ ბუკინგემის უნივერსიტეტთან დადებულ ხელშეკრულებას, მან აღნიშნა, რომ ბუკინგემის უნივერსიტეტს მსოფლიოს მასშტაბით დადებული ჰქონდა 14

ხელშეკრულება და ისინი საკმაოდ მკაცრად არჩევდნენ თუ ვისთან გააფორმებდნენ კონტრაქტს, ვინაიდან უნივერსიტეტისადმი ნდობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ისინი უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ უნივერსიტეტი დააკმაყოფილებდა მათ სტანდარტებს. აღნიშნული იყო მათი პასუხისმგებლობა, ვინაიდან თავად ბუკინგემის უნივერსიტეტიც გადიოდა ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს შეფასებას ბრიტანეთში და ამ პროცესის ფარგლებში ასევე შემოწმებული იქნებოდა მათი ურთიერთობა და თანამშრომლობა პარტნიორებთანაც. შესაბამისად მათ უწევდა დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნები. ქალბატონმა რობინსონმა აღნიშნა, რომ ბუკინგემის უნივერსიტეტი იყო უნიკალური უნივერსიტეტი დიდ ბრიტანეთში, რადგან ის იყო ერთადერთი კერძო უნივერსიტეტი, რომელიც მოცემული იყო მსოფლიო უნივერსიტეტების ნუსხაში, აღნიშნული კი მათ აკისრებდა პასუხისმგებლობას. უნივერსიტეტის უნიკალურობა ასევე მდგომარეობდა იმაში, რომ ის ეწეოდა ქველმოქმედებას, მათ ჰქონდათ საკუთარი სწავლის მეთოდები, სტუდენტებთან გამოიყენებოდა ინდივიდუალური მუშაობის მეთოდები, სწავლება ხორციელდებოდა მცირე ჯგუფებში. უნივერსიტეტი ასევე ამოწმებდა პარტნიორებს აკმაყოფილებდნენ თუ არა დაწესებულ მოთხოვნებს, თუმცა ამავე დროს მათი მოთხოვნა იყო, რომ პარტნიორებიც აკმაყოფილებდნენ ადგილობრივ მოთხოვნებს თავიანთ ქვეყნებში. აღნიშნული გულისხმობდა, რომ ზოგიერთი ქვეყანაში სადაც ბუკინგემის უნივერსიტეტი ოპერირებდა, ბევრი რამ იყო განსხვავებული რაც ეხებოდა ხარისხს და დიპლომებს. ზოგიერთ ქვეყანაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი ხარისხი, ზოგ ქვეყანაში იყო ორმაგი ხარისხი და სტუდენტი იღებდა ორმაგი ხარისხის დიპლომს ან ერთობლივ ხარისხს. შესაბამისად, ბუკინგემის უნივერსიტეტს ხშირად უწევდა მორგებულიყო და დაეკმაყოფილებინა ორივე ქვეყნის რეგულაციები.
ასევე აღსანიშნავი იყო, რომ სანამ მათი პარტნიორი უნივერსიტეტი დაიწყებდა ფუნქციონირებას მათ უწევდათ ხანგრძლივი თანამშრომლობა, იმისათვის რომ საბოლოო ჯამში პარტნიორი უნივერსიტეტს დაეკმაყოფილებინა როგორც მათი სტანდარტები, ასევე ადგილობრივი მოთხოვნები და რეგულაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები და რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა შესვენებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:45 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 18:50 წუთზე.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს მოსაზრებით, ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტაციისა და საავტორიზაიო დოკუმენტაციის გაცნობის შემდგომ, მიზანშეწონილი იყო მე-3 სტანდარტის 3.1 კომპონენტი ნაცვლად ნაწილობრივ შესაბამისისა შეფასებულიყო როგორც მეტწილად შესაბამისი. შესაბამისად, მე-3 სტანდარტი მთლიანობაში შეფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების არსებული შეფასება იწვევდა დაწესებულებისთვის ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებას. თუმცა, ამავდროულად, რადგან დაწესებულებ იყო ახალდაფუძნებული და ეხლა იწყებდა ოპერირებას უმაღლესი განათლების სფეროში, საბჭოს გადაწყვეტილებით მიზანშეწონილი იყო დაწესებულებაში 2 წელიწადში განხორციელებულიყო მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც გადამოწმებული უნდა იყოს ყველა რეკომენდაციის გათვალისწინების საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 79 - ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე - 4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 88 - ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შპს ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს საქართველოში (ს/კ: 405365698) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (სასწავლო უნივერსიტეტი) სტატუსი და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით.

დაწესებულებას ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვროს 1 წელი. დაწესებულებაში განხორციელდეს ავტორიზაციის პირობების შემოწმება 2 წლის ვადაში.

საბჭო დასრულდა 17:00 საათსა და 10 წუთზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ